

**ინფორმაცია 2018 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტში დასრულებული და 2019 წელში
გარდამავალი პროექტების შესახებ**

2018 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით გამოეყო 3 305 973 ლარი. მათ შორის აქედან დასრულებულია კერძოდ:

1. ქ. ცაგერში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა, სადაც შესრულებულია 306 387,74 ლარის სამუშაოები.
2. ქ. ცაგერში ნინოშვილის ქუჩის ასფალტირების სამუშაოები, შესრულებულია 92 417 ლარის სამუშაოები.
3. ქ. ცაგერში ქუჩების ასფალტირება, სადაც შესრულებულია 965044,84 ლარის სამუშაოები
4. ქ. ცაგერში №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები. სადაც შესრულებულია 351014,22 ლარის სამუშაოები.
5. უმწეოთა სასადილოს რეაბილიტაციის სამუშაოები, შესრულებულია 138 765,3 ლარის სამუშაოები.
6. ქ. ცაგერში სპორტული ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები, შესრულებულია 84 284 ლარის სამუშაოები.
7. ქვედა ცაგერში ახალდასახლების უბანში კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები, სადაც შესრულებულია 191 798 33 ლარის სამუშაოები.
8. სოფელ ჩხუტელში ლაჯანურჰესის სათავე ნაგებობის გვირაბამდე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, შესრულდა 426 337 35 ლარის სამუშაოები.
9. ქალაქ ცაგერში აღმაშენებლისა და ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები, შესრულებულია 18 929 40 ლარის სამუშაოები.

რაც შეეხება 2018 წელს დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების და 2019 წელს გაგრძელდება. შემდეგია:

1. სოფ. ლაჯანაში საბავშვო ბაგა ბაღის მშენებლობა, რომელიც უნდა დასრულდეს 2019 წლის 29 აპრილს , ამჟამად შესრულებულია 26619,77 ლარის სამუშაოები.
2. ქ. ცაგერში ქუჩების (ჩიხები) ასფალტირების სამუშაოები, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 31 დეკემბერს, მაგრამ უამინდობის გამო გადავადებულია, ამჟამად შესრულებულია 195194,00 ლარის სამუშაოები.
3. ტურისტულად მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობა, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 1 ოქტომბრისთვის რამდენჯერმე მოხდა მისი გადავადება. რის გამოც ფირმაზე ვრცელდება საჯარო მოსახლეობის სანქციები. ამჟამად შესრულებულია 388,449,96 ლარის სამუშაოები.
4. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს №1622 განკარგულებით „ცაგერის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 19-25 დეკემბრის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების (გზის) რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის“ ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 940772 ლარი. დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციის სამუშაოების სამუშაოები დაიწყო ლოტებად და გამოცხადდა ტენდერი. გამოვლინდა გამარჯვებული ფირმები(იხ. დანართი).
5. ცაგერის და ქვ. ცაგერის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გრანტის სახით ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 151700 ლარი. აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად გამოცხადებულია ტენდერი.

6. საქართველოს მთავრობის 2017 წლის ნივლისის №54 განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 11-12 მაისს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 382 254 ლარი. რომელსაც აწარმოებდა ტენდერში გამარჯვებული შ.პ.ს „ორბიტა“, რომლის ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 1 200 000 ლარს. რომელიც უდა დასრულებულიყო 2018 წლის 1 აგვისტოს. ფირმამ შეასრულა 122 419 23 ლარის სამუშაოები რაც შეადგენს სამუშაოების 13 პროცენტს. რის გამოც ფირმა დისკვალიფიცირებულია და განხორციელებულია საჯარიმო სანქციები. დარჩენილი სამუშაოები დაყოფილია ლოტებად და განხორციელებულია ტენდერი, ზოგიერთ ლოტზე გამოვლინდა გამარჯვებული, ზოგიერთი არ შედგა (იხილეთ დანართი).

7. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის „ქალაქ ცაგერში სპორტული დარბაზის მშენებლობისთვის გამოიყო 2714143 ლარი (სახელშეკრულებო ღირებულება), სხვადასხვა მიზეზების გამო მშენებარე ობიექტზე ვადების გადაწევა მოხდა რამდენჯერმე. ამჟამად შესრულებულია 2644736 ლარის სამუშაოები, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულება შეწყვეტილია და მიმდინარეობს საქმის მოკვლევა.

ამავე ობიექტზე სამუშაოების ზედამხედველობისთვის გამოყოფილი იყო 2100 ლარი. ათვისებულია 12975 ლარი (65%) .ასევე საავტორო ზედამხედველობის მომსახურებისათვის გამოყოფილი იყო 4248 ლარი ათვისებულია 2549 ლარი (60%) .ხოლო 2018 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა 6500 ლარი სპორტული დარბაზის მშენებლობის შესრულებული და დარჩენილი სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულების, ასევე აუცილებლობიდან გამომდინარე ხარჯთაღრიცხვის გარეშე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების და ღირებულებების დადგენის ექსპერტიზისათვის, რომელსაც ახორციელებდა შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი.“

8. საქართველოს მთავრობის 2016 წლის განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტს, მწვანე თეატრის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის გამოიყო 485000 ლარი. შესრულებულია 452773 ლარის სამუშაოები (94%). ხელშეკრულება შეწყვეტილია და მიმდინარეობს საქმის მოკვლევა. ამავე ობიექტის საავტორო ზედამხედველობის მომსახურებისთვის გამოყოფილი იყო 970 ლარი, ათვისებულია 970 ლარი (100%).

9. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოების განხორციელება მიმდინარეობდა, როგორც ხარისხობრივი ისე არადადამაკმაყოფილებელი ტემპით, რამაც გამოიწვია შემსრულებლების დაჯარიმება, ჯარიმების საერთო რაოდენობა შეადგენს 26435,53 ლარს (იხ. დანართი).

10.. ხოლო რაც შეეხება 2019 წელს დაგეგმილ პროექტებს, რომლებიც დაფინანსდება, როგორც რეგიონალური განვითარების ფონდიდან, ისე ადგილობრივი ბიუჯეტიდან, შეგიძლიათ იხილოთ დანართი.